

საქართველოს ბაქტერიოლოგიის ცენტრი



**HTMC-PM-006-V.1.0**

**სამედიცინო ინფორმაციის მესამე  
პირებისთვის გადაცემა**

|                         |                                                    |
|-------------------------|----------------------------------------------------|
| დოკუმენტი               | სტანდარტული ოპერაციული პროცედურა                   |
| დასახელება              | სამედიცინო ინფორმაციის მესამე პირებისთვის გადაცემა |
| დოკუმენტის ნომერი       | 1.0                                                |
| მფლობელი                | კლინიკური დეპარტამენტები                           |
| დანერგვის თარიღი        | 19.07.24                                           |
| მომდევნო გადახედვის დრო | 07.25                                              |
| ავტორი                  | იურიდიული სამსახური, ხარისხის სამსახური            |
| დამტკიცებულია           | კლინიკური დირექტორი                                |

**მიზანი:** პაციენტის ავტონომიისა და სამედიცინო ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა

### პროცედურა:

#### 1. პაციენტის მხრიდან უფლებამოსილების მინიჭება

პაციენტმა სამედიცინო ინფორმაციის მესამე პირისთვის გადაცემის უფლებამოსილება წერილობით უნდა დაადასტუროს სახელისა და გვარის მითითებით, პირადი ნომრითა და ხელმოწერით, ასევე, გაცემის თარიღით.

#### 2. მოთხოვნილი ინფორმაცია

პაციენტმა უნდა მიუთითოს მოთხოვნილი სამედიცინო ჩანაწერები ან ინფორმაცია, მომსახურების თარიღი(ებ)ი და მომსახურების ადგილი(ებ)ი.

#### 3. ინფორმაციის გადაცემის პირობები

პაციენტს შეუძლია დააკონკრეტოს, უნდა იყოს თუ არა გარკვეული ტიპის ინფორმაცია შეტანილი ან გამორიცხული (როგორიცაა მაგალითად აივ-თან დაკავშირებული ინფორმაცია, ალკოჰოლისა და ნარკომომხმარებლობის ჩანაწერები, ფსიქიატრიული ანამნეზი, სქესობრივად გადამდები დაავადებების, ორსულობისა და გენეტიკური ტესტირების შედეგები).

#### 4. ინფორმაციის მიმღები პირის დეტალები

პაციენტმა უნდა მიუთითოს მესამე მხარის საიდენტიფიკაციო მონაცემები, თუ ვის უნდა გადაეცეს ჩანაწერები (ეს შეიძლება იყოს ჯანდაცვის პროვაიდერი, სადაზღვეო კომპანია, სამართალდამცავი ორგანო, დამსაქმებელი, ადვოკატი, სასამართლო ან სხვა პირი).

#### 5. გამჟღავნების მიზეზი

პაციენტს აქვს უფლება, მიუთითოს ინფორმაციის გამჟღავნების მიზეზი (როგორიცაა პაციენტის მოთხოვნა, შეღავათების განაცხადი ან სხვა).

#### 6. ფორმატი/მიწოდების გზა

პაციენტს შეუძლია მიუთითოს მოთხოვნილი ინფორმაციის ფორმატი/მიწოდების გზა (როგორიცაა ქაღალდმატარებელი/ფოსტა, დისკი, PDF/ელ.ფოსტა და ა.შ.).

ძირითადი მოქმედებები:

- რეგულარულად შეაფასეთ ამ SOP-ის ეფექტურობა.
- საჭიროებისამებრ იზრუნეთ გაუმჯობესებაზე.

